რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

Телефонъ магазина 64 Конторы и Склада 77

ВЫСОЧАЙШЕ УТВЕРЖДЕННОЕ
Кавказское товарищество торговли аптекарскими товарами
ТИФЛИСЪ
МАГАЗИНЪ на Эриванской площади, Г. Гургенова
Складъ и Контора на Водовозной ул. собст. домъ.

უმაღლესად დამტკიცებული
კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობა.

საწყობი და კანტორა იმყოფება დიდს ვოდოვოზნის ქუჩაზე საკუთარს სახლებში, ხოლო მაღაზია ერევნის მოედანზე, გურგენოვის სახლებში.
სააფთიაქო, ხიმიური და საკოსმეტიკო საქონელი; საოჯახო და ავადმყოფთა მოსავლელად საჭირო ნივთეულებანი;
სალაბორატორიო ნივთეულობა მოწონებული (პატენტიანი) და ჰაერის გასაწმენდი (სადეზინფექციო) წამლები;
ნამდვილი (ბუნებითი) მადნის წყლებით და მარილი კავკასიისა და უცხოეთისა;
სადოსტაქრო იარაღი;
ფოტოგრაფიისათვის ალბუმის ქაღალდი;
სქელი ქაღალდი (კარტონი) ჯოჯოხეთის ქვა (ლიაპისი);
ქლოროს ოქრო (хлористое золото) და სხვანი;
საოჯახო და საგზაო აფთიაქი.
ბავშვებთათვის საოთახო შუშხუნები და სხვა-და-სხვა საზოგადოთ საჩუქრები და სათამაშოები;
ფოტოგრაფიის იარაღები და სხვანი
გამოსადეგნი და საჭირო ნივთეულებანი.
უმთავრესი და ერთად-ერთი მთელს კავკასიაში
საწყობები
სანკტ-პეტერბურგის ხიმიურის ლაბორატორიისა:
ბროკარის და კამპ. მოსკოვში და სხვა ფირმებისა
კავკასიის ხიმიური ლაბორატორიისა ა. წურინოვისა და სხვათა
დასნეულებულ მილდიუთი და ოიდიუმით
(ობითა და ნაცრით)
ვენახების სამკურნალოდ, საუკეთესო—ინგლისური შაბიამანი გოგირდის ფხვნილი—გერმორელის აპარატები, საბერველები (ფუქსები) გოგირდის ფხვნილისა და სხვათა.
Адресъ для телеграммъ: Тифлисъ, „Санитасъ“.
განყოფილება ქ. ბაქოს (отдѣленіе въ Баку). (10—5)

„წინანდალი“
საკუთარის ვენახებიდამ
კახური (ძველის ძველი) ღვინოები
თავ. დ. კოზმანიშვილისა.
უმთავრესი საწყობი: თბილისი, მიხეილის ქუჩა, № 71, სახლი ულანცევისა.
„ЦИНАНДАЛЫ“
Извѣстная фирма Кахетинскихъ винъ. Мих. у. д. Уланцева, 71.
(10—4)
„წინანდალი“

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-დხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელსკავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში
სურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ѳбу Очемчиры, Теймуразу Чачава.
(300—34)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.
მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
(წ.)

ქუთაისის საქალებო უფასო სკოლის უფროსი უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც
პირველი ხარისხის ბანქო
სჭირია, იყიდონ ამ სკოლაში იმავე ფასად, როგორც ქუთაისის ვაჭრები ჰყიდიან, რითაც დიდს შემწეობას აღმოუჩენენ სკოლას.
(10—3)

იაფად, სამუდამოდ და პირიანად კსდგამ სახლებში

ელექტრონის
ზარებს
მსურველთ საახალწლოდ იაფად გავუმართავ გაფუჭებულს და დამდგარს ზარებს.
შეიძლება მომმართონ გ. ჩარკვიანის სტამბაში, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი.
მ. იანქოშვილი
(10—8)

გუშინდელი დეპეშა

11 თებერვალი

ვენეცია. საერთაშორისო შავი-ჭირის წიააღმდეგ დაარსებულმა კომისიამ საზოგადო სხდომაზედ მოისმინა ინგლისის წარმომადგენელთა მოხსენება. ინგლისის მთავრობამ დაადგინა, რომ მიმდინარე წელს სრულიად აღეკრძალოს მლოცველებს ინდოეთიდგან მექაში წასვლაო. წარმომადგენლებმა განმარტეს აგრეთვე მთავრობის მოხსენებანი. კონფერენციამ მოიწონა ინგლისის მთავრობის გარდაწყვეტილება და გამოაცხადა სურვილი, რომ სახელმწიფოებმა, რომელშიაც მაჰმადიანები სცხოვრებენ, მიიღონ ზომები რათა მლოცველებს აღეკრძალოს წმიდა ადგილებში მოგზაურობაო.

კონსტანტინეპოლი. ფოტიადესბეი, დანიშნულებისამებრ, მიდის კანეიაში.

კონსტანტინეპოლი. ილდიზკიოსკსა და პორტაში საშინელი უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ ამბავმა, რომ საბერძნეთმა კანეიის მთავარ-კონსული კრიტის მთავარ-კომისარად დანიშნა, დახურა დანაშთენი საკონსულოები და უსიამოვნო მოქმედებას განაგრძობსო. კრიტიდგან მოსული ცნობებიდგან ცხადადა სჩანს თუ რა ცუდ მდგომარეობაში არიან იქაური მაჰმადიანები, რომელნიც თავის თავს პორტის მიერ უპატრონოთა და უმწეოდ დატოვებულად სთვლიან. ზოგიერთ ადგილებში რამდენჯერმე სცადეს განთავისუფლებიათ ქრისტიანეთაგან ალყა შემორტყმული ოსმალეთის ჯარი და საჭირო სურსათი მიეცათ მათთვის. კანეიდგან ხმები მოდის, რომ ქრისტიანები და მაჰმადიანები შეუბრალებლადა ელეტამენ ერთმანეთსო; მაგრამ, რადგანაც ქრისტიანები რიცხვით მეტნი არიან, მაჰმადიანები დიდ განსაცდელში არიანო.

კანეია. ევროპიელთა გემებიდგან მხოლოდ მაშინ ასტეხეს სროლა, როცა აჯანყებულნი შეამბოხენი ჰალეპპოში თავს დაესხნენ ოსმალთა ჯარებს. სროლამ 25 წამი გასტანა. შეამბოხენი უკუ იქცნენ.

კანეია. ინგლისის, რუსეთისა და იტალიის კონსულებმა წინადადება მისცენ მებრძოლთ სელინოში შვიდის დღის ვადით მორიგდითო. ორივე მხარე დასთანხმდა ამ წინადადებაზედ.

12 თებერვალი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა მთავრობის მოხსენება რუსეთისა და იაპონიის შეთანხმების შესახებ, რომელიც მოსკოვსა და სეულში მოხდა, რადგანაც რუსეთის მთავრობას ამით სურდა ბოლო მოეღო იმ უკმაყოფილებისათვის, რომელიც რუსეთსა და იაპონიას შორის ჩამოვარდა კორეს საქმეთა გამო.

ხარკოვი. 11 თებერვალს დაატყვევეს ერთი იმ ავაზაკთაგანი, რომელმაც ხახლოვის შვილები დახოცა. ეს დამნაშავე ციმბირიდგან გამოქცეული გამოდგა. ორი სხვა ბოროტ-მომქმედი ქ. ორიოლში გაიქცა. იმათ დასაჭერად ზომებია მიღებული.

პარიზი. გაზეთებს ძალიან მოსწონთ ჰანოტოს ცხადი, გარკვეული განცხადება და ის საშუალებანი, რომელიც მან დაასახელა საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის უკმაყოფილების მოსასპობლად; გაზეთებს სრული იმედი აქვთ, რომ „ევროპის კონცერტი“ თავისს სურვილს აასრულებინებს ოსმალეთსაო.

ვენეცია. შავის ჭირის საწინააღმდეგო კონფერენცია. კომისიამ განიხილა რა ევროპის გარეშე ქვეყნებში შავის ჭირის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებანი, შეუდგა იმ საშუალებათა გამორკვევას, რომელიც წითელ ზღვაზედ უნდა იქმნეს მიღებული. კომისიამ, ევროპაში შავის ჭირის წინააღმდეგ მიღებულ ზომების განხილვისა და, დრეზდენის კონვენციის შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ რამდენიმე მუხლი შეიცვალოსო, უმეტეს ნაწილად ის მუხლები რომელიც შავის ჭირის შემოტანის საწინაალმდეგო ზომებს შეეხებაო.

ლონდონი. ოფიციალურად იუწყებიან იმ მისსიის შესახებ, რომელიც ქაირში ინგლისის სადიპლომატიო წარმომადგენლობის მდივნის თანამდებობის აღმასრულებელის,

რენნელ როდსის მეთაურობით უნდა გაეგზავნოს მენელიკს. მისსიას შეადგენს რამდენიმე ოფიცერი და პოლკოვნიკი უინგერი. როდსს თან ეხლება მარკიზ სალისბერის შვილი ლორდი სესსილი. როდსი მიართმევს მენელიკს თვით დედოფალი ვიკტორიას მიერ დაწერილს წერილს.

კონსტანტინეპოლი. პორტამ შეატყობინა ელჩებს, რომ დაბა ვუკოლისთან კრიტის მეამბოხეთ ოსმალთა ჯარის ორი რაზმი გასწყვიტესო. გადარჩა მხოლოდ ერთი აფიცერი და 60 ჯარის კაციო. აგრეთვე მეამბოხენი გარს შემოერტყმნენ ოსმალთ, რომელთა შორის დედაკაცები და ბავშვებიც არიანო. ზღვის აფიცრის ცდამ, რომ ოსმალებს თავისუფლად შესძლებოდათ უკან დახევა, ამაოდ ჩაიარა.

კალკუტა. რევახში საზოგადო სამუშაოებზედ, რომელსაც აზრად ჰქონდა დამშეული ხალხის დახმარება, ხოლერა გაჩნდა. მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო, რომ ეს სენი სხვა პროვინციებში არ გავრცელდესო.

ბომბეი. ამ უკანასკნელ ექვს დღეში დახოცილთა რიცხვიდგან ცხადათა სჩანს, რომ წარსულ კვირასთან შედარებით ეს სენი უფრო შესუსტებულა. ეს ფაქტი ერთობ სასიამოვნოა.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

სამხედრო დაწესებულებაში. მე 154 დერბენტის პოლკის ოფიცერმა ვაშაკიძემ მიიღო პორუჩიკობა.

როტმისტრი ბ ნი გამრეკლიძე დანიშნულ იქმნა რკინის გზათა ჟანდარმერიის ბაქოს განყოფილების უფროსად.

გორის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის ამსრულებელი ზასერმანი გადაყვანილ იქმნა ამავე თანამდებობაზედ თელავის მაზრაში.

ფოსტა- ტელეგრაფის უწყებაში. ოზურგეთის ფოსტა ტელეგრაფის უფროსის თანაშემწეს მგელაძეს ებოძა კოლეჟსკი ასესსორობა, ხოლო სამტრედიის ფოსტის განყოფილების უფროსს—ქორქაშვილს, და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათა მოხელეთ: ხონისა—იოსელიანს და თიონეთისას—კეზელს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

ახალი ამბავი

*** **ახალი სამკურნალო შავი სახადით ავადმყოფთათვის.** ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ ქალაქმა სთხოვა ბ-ნს გუბერნატორს ნება-რთვა, რომ მიხეილის საავადმყოფოს გავსების გამო, ორი თუ სამი ოთახი მიეჩნიათ სახადით ავადმყოფთათვის უძლურთა და უღონოთა თავ-შესაფარ ქსენონის შენობაში. ამაზე გუბერნატორს უარი უთქვამს და რადგან შავი სახადი დღე-დღეზე უფრო ვრცელდება ქალაქში და შესაფერი სამკურნალოც არსად მოიპოვება, ამიტომ ქალაქს თურმე, განზრახვა აქვს დროებით ააშენოს დამდეგის წლის პირველ იანვრამდინ სახადით ავადმყოფთა სამკურნალო, რისთვისაც დასჭირდება ათასი თუმანი, რომ რიგზე გამართონ და შეინახონ კიდეც ეს საავადმყოფო ათის თვის განმავლობაში.

*** **გორის მაზრის უფროსის ახალი თანაშემწე** ზისერმანის მაგიერად, რომელიც თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ არის გადაყვანილი, დანიშნულია თავ. ლევან ჯანდიერი.

*** **ტფილისის პოლიცმეისტერის განკარგულება შავი ჭირის საწინააღმდეგოდ.** გუშინ-წინ პოლიცმეისტერს ბ-ნ მასტიცკის მიუმართავს ქალაქის გამგეობისათვის შემდეგის წინადადებით: 1) დაუყოვნებლივ გასუფთავებულ უნდა იქმნეს ქალაქის ყველა თხრილები და მილები უბინძურობისა, 2) ყოველ-დღე დეზინფექცია უნდა მოხდეს მეეტლეებისა და იმ ადგილებისა, სადაც მეეტლეების ბინაა და აგრეთვე ბირჟები ქალაქის ყველა ნაწილებში. 3) დაუყოვნებლივ გადაყვანილ იქმნენ მედროგეები და საზოგადოთ მუშა ცხენები მეეტლებითურთ შუა ბაზრიდან სადმე სხვა ადგილას მოშორებით იმ ადგილებიდან, სადაც დიდი მოძრაობაა და ხალხი ჯგუფ-ჯგუფად არის და 4) უფრო გახშირებით წმენდა და გასუფთავება ქუჩებისა და ვიწრო ქუჩის შესახვევებისა.

*** **ბიბლიოთეკები და სამკითხველონი.** სასულიერო მთავრობას გადაუდვია 500 თუმანი ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოთა დასაარსებლად ყველა იმ ეკკლესიებთან, რომელნიც ეკუთვნის ქრისტიანების აღმადგენელ საზოგადოებას. ამ ბიბლიოთეკებში იქნება, როგორც რუსული, აგრეთვე ქართული წიგნები.

*** **უგზო-უკვლოდ დაკარგული კაცი.** 11 თებერვალს ალ. სტეფანოვმა, რომელიც 1-ს გონჩარნის ქუჩაზედ სცხოვრობს, გამოაცხადა, რომ წარსულ შაბათს მისი მამა, ვას. სტეფანოვი, 60 წლის მოხუცი, წამოსულა მირზოევის აბანოში და იქიდამ ჯერაც არ დაბრუნებულაო; მირზოევის აბანოში მართლაც ყოფილა ის მოხუცი დანიშნულს დღეს; მაგრამ იქიდამ სად დაიკარგა, არავინ იცის.

*** **მეტის-მეტ სისუსტით სიკვდილი.** 8 თებერვალს ქ. ბათომში დ. სენაკიდამ მოიყვანეს მძიმე ავადმყოფი სენაკის მაზრის მცხოვრები სამსონ ქავთარაძე. ავად-მყოფს მეტის-მეტი სისუსტე და სიგამხდრე სტანჯავდა. ბათომის სადგურს რომ მატარებელი დაუახლოვდა, სნეულმა გრძნობა დაჰკარგა, გაგზავნეს ქალაქის სამკურნალოში და იქ საცოდავი გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი მეტის მეტი სისუსტეა. ბათომის სადგურის უფროსმა, სანამ ქავთარაძის სიკვდილის მიზეზს შეიტყობდა, ფიცხელი განკარგულება მოახდინა, ბეჯითი დეზინფექცია ექმნათ იმ ვაგონისთვის, სადაც ავად-მყოფი იწვა. 11 თებერვალს მიცვალებული ქავთარაძის გვამი ახალ-სენაკისაკენ გაასვენეს დასაკრძალავად.

*** **სკოლების დახმარება ბაღ-ბოსტნის გაშენების საქმეში.** ამ დღეებში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ აცნობა, რომ მიწადმრეწველობის დეპარტამენტის ზოგიერთი დაწესებულებები უფასოთ ურიგებენ სამრევლო, სასულიერო და სხვა სკოლებს თესლებს და ნერგებს სკოლებში ბაღების გასამართავად, იმ წეს-რიგით, რომელიც ამის შესახებ დაადგინა ბ. მეურნეობის მინისტრმაო.

სხვათა დაწესებულებათა შორის თესლებსა და ნერგებს სოხუმის სანიმუშო ბაღიც დაარიგებსო, ხოლო სხვა და სხვა მოსაზრებისა და ფილოქსერის საწინააღმდეგო წესდების გამო სოხუმის ბაღიდამ თესლები და ნერგები მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის სკოლებს დაურიგდებათ.

*** **მეფუტკრეთა კრება.** სამეურნეო სამინისტროს ნება დაურთავს მეფუტკრეებისთვის კრების გამარ-

თეატრის მატიანე.

„უპატიოსნონი არ იბადებიან“, სამ-მოქმედებიანი დრამა როვეტასი—თარგმანი ნ. გალუსტოვისა და „შეცდომა“, ვოდ. 2 მოქ. თ. ირ. ბარათაშვილისა.

ბენეფისი კლ. ალექსი-მესხიშვილისა.

—

წელს პირველად დაესწრო ამდენი საზოგადოება ქართულს წარმოდგენას—თეატრი თითქმის სავსე იყო. ყველას უნდოდა პატივი ეცა მობენეფისესთვის. მოუტანეს რამდენიმე საჩუქარიც და ბევრის ტაშის კვრით დააჯილდოვეს.

დარჩა თუ არა დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი პიესებით, თამაშით? უნდა აღვიაროთ, რომ სრულიად უკმაყოფილოდ დაიშალა საზოგადოება თეატრის დარბაზიდგან. არც პიესები მოეწონა და არც წარმოდგენა.

დავიწყოთ უმთავრეს პიესიდგან—ავტორს უსათუოდ უნდა, რომ ქმარს როგორმე გააგებინოს ცოლის ღალატი და ამისათვის ბევრ ძალ-დატანებულ ხერხებს ხმარობს... უცებ, თითქოს კაცის კვლა ქათამზე ადვილი იყოს, დღისით, დიდს ქუჩაზედ, დიდს ქალაქში, ავაზაკები მისცვივნიან ბანკის მმართველს, პეპინოს, ელიზას საყვარელს, კლენ და სძარცვავენ. რა კი ეს მოკვდება, მორეტის და იმის ცოლს საშვალება მოაკლდებათ. ვერც ამ საშვალების დაკლებამ, ვერც წინანდელ განცხრომით ცხოვრებამ, ავტორის სურვილით, ვერ დააფიქრა ოჯახის უფროსი მორეტი და ვერ მიახვედრა, თუ რის გამო ხდება ყველაფერი ეს... განა ძალ-დატანებითი ხერხი არ არის, რომ ოჯახის პატრონს, ვსთქვათ, 200 მანათი ჯამაგირი ჰქონდეს თვეში, სხვა არავითარი საშვალება და 2000 მან. კი იხარჯებოდეს... რა კაცი უნდა იყოს, რომ ეს ვერ შეამჩნიოს? მდიდარ საყვარლის სიკვდილის შემდეგ ღარიბდებიან და ქმარი, რომელსაც უკეთესი ალაგი მისცეს სამსახურში და მეტი ჯამაგირიც, მაინც ვერაფერს მიმხვდარა და არ ამბობს, თუ წინად ნაკლები მქონდა კარგად ვსცხოვრობდით, ახლა კი მეტი მაქვს და ყველაფერი რად გვაკლიაო...

ამგვარ ძალ-დატანებას, შინაარსის ცრუ ნიადაგზედ დამყარებას დამსწრე ინსტიქტიურად გრძნობს და ოველთვის, როდესაც ამ გრძნობით გაიმსჭვალება დამსწრე საზოგადოება, ის აღარ აქცევს ყურადღებას თვით წარმოდგენას, იწყობს ხველას, აღარ ისმენს არტისტების მონოლოგებს, იწყობა მარაოს შლა, ჩურჩული, აქეთ-იქით ერთმანერთის დათვალიერება, დრამატიულ მომენტებში სიცილი, ქანდარაზედ ხმა მაღლა მოძახება და სხ. და სხ.

ცოტათი თუ ნაკლებ ასე მოხდა გუშინდელ წარმოდგენაზედაც. რასაკვირველია, თეატრის დარბაზში ყოველთვის დაესწრებიან ისეთნი პირნიც, რომელნიც ყოველთვის დიდის ყურადღებით ისმენენ პიესასაც და წარმოდგენასაც თვალს ადევნებენ,—მაგრამ უმთავრესი ნაწილი საზოგადოებისა კი ასე იქცევა, თუ ძალიან თვალ-საჩინოდ და გარკვეულად არ არის პირველ სცენებიდამვე დაწყებული, როგორც პიესის ნასკვი ისე მოთამაშეთაგან ამ ნასკვის და პირველ სიტყვების, პირველ სცენების მკაფიოდ, გარკვეულად წარმოთქმა.

სასცენო უტყუარი კანონია, რომ მკაფიობა განსაკუთრებით დაცულ უნდა იყოს პიესის დასაწყისში—თორემ თუ უმეტეს ნაწილმა ვერ გაიგონა და ვერ გაიგო პიესის ნასკვი, ის შემდეგ მოქმედებებს არც ყურს უგდებს და ვერც შთაბეჭდილებას მიიღებს.

ზემოდ მოხსენებულ უთვალ-საჩინო და გაურკვევლობაში, როგორც ავტორი, ისე ჩვენი არტისტებიც დამნაშავენი არიან.

სრულიად შეუსაბამოდ როლების განაწილებით და სცენის მოუწყობლობით ძალიან ბევრი ინტერესი დააკლდა, როგორც პიესას ისე თამაშსაც. პირველ მოქმედების დარბაზი უნდა იყოს მდიდრულად მორთული, მოთამაშენი კარგად, მოდაზედ ჩაცმულნი უნდა იყვნენ—მეორე კი უფრო ღარიბად—ჩვენ სცენაზედ კი, როგორც პირველში, ისე მეორეში იგივე მორთულობა, იგივე ტანთ-საცმელი. ეს უყურადღებობაა და, გასაკვირალია, რომ ავტორის ასეთს თვალ-საჩინო და გარკვეულს საგანს, რომელსაც დიდი დამოკიდებულება აქვს შინაარსთან, ასე უყურადღებოდ მოქცევიან სცენის გამგენი. ელიზას როლს თამაშობდა ქ. ავალიშვილისა. საუკეთესო სცენა მეორე მოქმედებაში, სადაც ნიჭიერს არტისტს შეუძლია ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზედ, როგორც ერმოლოვის ქალს მოუხდენია მოსკოვში, ისე უხერხულად ჩაატარა ქალბ. ავალიშვილისამ, რომ თანაგრძნობის და შეცოდების მაგიერ ხარხარი გამოიწვია. იმდენი მოხერხება მაინც უნდა ჰქონდეს არტისტს ქალს, რომ ისეთს სცენაში, როგორიც ქმრისა და ცოლის შეტაკების დროს მოხდა, გუშინდელ წარმოდგენაზე, შლიაპა არ უნდა მოჰქცეოდა გვერდზედ, რამაც მთელი ამ მეორე მოქმედების ძლიერად და მართლა ცოდნით დაწერილი სცენა ჯეროვან შთაბეჭდილებას სრულიად მოაკლდა.

ელიზას მამის როლს თამაშობდა ბ. გედევანოვი. უსიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ამ გაგებულ არტისტს სრულიად ვერ გაეგო თავისი როლი. ორლანდო ბებერი ქარაფშუტა არშიყია, ცრუ კაცი, უსაქმო, სხვის ხარჯზე, სხვისი ჯიბის შემყურებელი და ბ. გედევანოვმა კი ის გულ-წრფელ, კეთილ გონიერ და მართალ კაცად წარმოადგინა. ერთს ადგილს იმის ხმაში ნამდვილი ცრემლები ისმოდა, მაშინ როდესაც იმას, თუ კარგი სადილი და ღვინო აქვს, თუნდ ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილა.

დე-ფორნარის ცოლს, იმ კაცისა, რომელმაც ბანკის კასიდამ ფული მოიპარა და რომელსაც სამსჯავრო ასამართლებს, თამაშობდა ქალბ. ივანიძისა. ეს როლი მეტად სიმპატიური, მეტად თანაგრძნობის ღირსია მთელს პიესაში. ქმარი უყვარს მაშინაც კი, როდესაც ის ქურდობაში დაიჭირეს და ამით ნამუსი აეხადა მთელი ოჯახის სახელს. ის ცდილობს როგორმე გამოიხსნას თავისი ქმარი, დაუბრუნოს მამა-შვილებს, მაგრამ რაც სათავდებოთ შეუტანია ბანკში იმის ქმარს, ვერ შეავსებს მოპარულ ფულებს, აკლია 2600 ლივრი... ვინ მისცემს საწყალ დედაკაცს ამდენს ფულს?

ავტორი ამ ფულების ძებნაშიდაც პოულობს საშვალებას დაახასიათოს ახლანდელი საზოგადოების ზნე-დაცემულობა- ქალი მიდის ერთს მდიდართან და ფულებსა სთხოვს, ისიც სამაგიეროდ თავის ვნების დაკმაყოფილებას თხოულობს და როდესაც ქალი დასთანხმდება, მხოლოდ მაშინ აძლევს ამ ფულებს. ეს ადგილი გარკვევით არის მოხსენებული თვითონ პიესაში და ქალბ. ივანიძეს კი, დარწმუნებული ვართ, ვერ გაუგია, თორემ ისე გულდამშვიდებით არ იტყოდა სცენაზედ: „ეს ფულები კაპრიმ მომცაო“, როგორც მაგალითად ითქმება «მეპურემ ამ დილით ორი შაურის პური მოიტანაო!“. არც მიხვრა-მოხვრა, არც ხმა ქალბ. ივანიძისა, არც სახის გამომეტყველება არ შეჰფეროდა ამ როლს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ როლი კარგათ გაზეპირებული ჰქონდა.

ჩინებულად თამაშობდა გოგოს როლს ქალბ. ჩერქეზიშვილისა. პირველ მოქმედებაში ის თავაზიანია და მეორეში კი, როდესაც ბატონების გაღარიბებას დაატყობს, მკვახე-მკვახე სიტყვებს ისვრის, აბეზარად იქცევა. არტისტმა ქალმა მშვენივრად დაახასიათა და მიხვრა-მოხვრაც შეუფარდა თავის როლს.

თვით მობენეფისე თამაშობდა ქმრის, მორეტის როლს. არტისტი თავის მოხდენილ სახით, მიმიურის თამაშით და ხელოვნურის მანერებით ძველებურად და ჩვეულებრივად ახდენდა ხოლმე დამსწრე საზოგადოებაზედ შთაბეჭდილებას, მაგრამ ჩვენ ძალიან საძნელოდ მიგვაჩნია ამ არტისტის თამაშის სავსებით გაჩხრეკა და დაფასება, რადგან ხმის ავადმყოფობა იმდენათ უშლის არტისტს, რომ ვერ ვგებულობთ როლის შინაარსს, მიუხედავათ ამ საცოდავ მდგომარეობისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებას ახსოვს საყვარელი არტისტი და ყოველთვის აჯილდოებს ტაშის ცემით, იშვიათის სიყვარულით. თარგმანის ენა, რაც გნებავთ არის, მაგრამ ქართული კი არაა.

ვოდევილი „შეცდომა“ დიდი შეცდომაა, რომ წარმოადგინეს. ჩვენის აზრით ახალგაზდა ავტორის წასაქეზებლად ჩვენი თეატრის გამგეობას შეეძლო ეს გაჭიანურებული ორ-მოქმედებათ ვოდევილი, ერთს მოქმედებათ გადაკეთებული წარმოედგინა. ახალგაზდა ავტორს ჩვენ ვუსურვებთ უფრო ცხოვრების მეტად დაკვირვებას, სცენის შესწავლას და დახელოვნებას სასცენო თხზულების წერაში, რომელიც ნიჭისა და უნარის გარდა ბევრს სხვა რასმე თხოულობს მწერლისაგან.

თვისათვის. პირველი კრება მოხდება ეკატერინოდარში, მეორე—კავკავში,—მესამე ტფილისში.

⁂ **მინდვრის თაგვები ხატის-თელეთში** ძრიელ გამრავლებულან, რომელნიც, თურმე, საშინლად აოხრებენ ყანებს. ამის გამო ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ლევ. ჯანდიერმა ბ. გუბერნატორს მიჰმართა, გვასწავლეთ, რა საშვალებით შეიძლება ვებრძოლოთ მინდვრის თაგვსაო. ბ. გუბერნატორი დაეკითხა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას: შეიძლება, თუ არა, შემწეობა აღმოუჩინოს ხსენებულ საზოგადოებამ ხატის-თელეთსაო. სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა, დაუყოვნებლივ იშუამდგომლოს სამინისტროსთან, გამოგზავნოს მცოდნე პირი, რომელსაც შეეძლოს მინდვრის თაგვების მოსპობა და მოსალოდნელია უბედურობის აცდენა.

⁂ **ახალი გზა მუშტაიდზე დიდუბეში მიმავალი.** კონკურსის მმართველობამ სთხოვა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს, გაეყვანა ახალი გზა მუშტაიდის და საბაღოსნო სკოლის ბაღის შუა და შეერთებულიყო სწორედ დიდუბის გზის დასაწყისს. ეხლა, როგორც ისმის, ბ-ნ მინისტრის რწმუნებულს დაუმტკიცებია ეს პროექტი. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ეს ხმა გამართლდეს, რადგან იმაზე მოხერხებული გზა სხვაფრივ ვერ გაკეთდება. ჯერ ერთი გაუადვილდებათ მლოცველებს დიდუბის ეკკლესიისა და მეორეც დიდუბის მცხოვრებთ, რომლებიც იძულებულნი არიან ღამის 12 საათის შემდეგ, რადგან მუშტაიდის ბაღი იკეტება, მოუარონ გარშემო, სადაც ერთი კაცის გავლა საშიშია.

⁂ **სუფსა. ქალის მოტაცება.** აქაც შემოგვეჩვია ქალის მოტაცება. ამას წინად ერთს აქაურს მცხოვრებს თავართქილაძეს მოსტაცეს 14 წლის ქალი. ეჭვი აქვთ რ—ნ ჩ—ძეზედ, რომელსაც აგერ კაი ხანია დღითა და ღამით დაეძებენ, მაგრამ არსადა სჩანს. რა თქმა უნდა, საქმე ფიცხლად სწარმოებს.

⁂ **ს. სუფსა. ჟურნალ-გაზეთების ტაცობა.** ჩვენშიაც სენად გახდა ჟურნალ-გაზეთების ტაცობა. ფოსტა მოვა თუ არა, სადგურის უფროსის კანტორაში გროვდება იმოდენი ხალხი, რომ ჰდევა აღარ არის; ყველა მოელის ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ ბევრს-კი უხუნდება ლოდინი, რადგან სხვისი გაზეთების მუშტრები რაღაც მოხერხებით ასწრობენ პატრონზედ ადრე წაღებას. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იძულებულ ვიქნებით ჟურნალ-გაზეთების გამოწერას თავი მივანებოთ. საჭიროა, სადგურის უფროსმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და რამე რიგი და წესი დაამკვიდროს ჟურნალ-გაზეთების მიმღებლებისათვის, რითაც ჩვენ, ხელის-მომწერლებს, დიდათ დაგვავალებს და რედაქციებსაც საყვედურს აცდენს.

ხელის-მომწერი.

⁂ **აფხაზეთი. მხეცური ავაზაკობა.** ასეთს უბედურებას არ მოსწრებია კაცი. ლამის მთელი აფხაზეთი ავაზაკებთა ბუდეთ გადაიქცეს. დღე ისე არ გაივლის, თითო-ოროლა სამწუხარო ამბავი არ შეიტყოს ადამიანმა. გროშისათვის კაცსა ჰკლავენ!.. მარტო ღმერთმა უწყის, თუ რა ამბებია ამ ჟამად აფხაზეთში! . სხვა მრავალს ჩვეულებრივ ავაზაკობათა შორის ერთი ყოვლად მხეცური ამბავი მოხდა ს. კინდღში (კოდორის ხეობაში). 30 იანვარს მამასახლისმა შეატყობინა უფროსს: ორი კაცი აწყვია მკვდარი გზაზეო. უფროსი მაშინათვე გაემგზავრა ყაზახრუსებით და რა ნახა მერე? ერთი თავ-დაღმა ეგდო ტალახში, მხოლოდ მეორე სარზე წამოცმული. ერთი აღმოჩნდა გ. გოგია 20 წლისა და მეორე დაბახობის მცხოვრები გერგაია. საწყლები სავაჭროთ გამგზავრებულან სოფელში. ნაწილის უფროსი ოთხი დღეა, რაც იქ არის, ჯერ არ დაბრუნებულა. ამბობენ, ბოროტ-მოქმედნი აღმოაჩინესო.

⁂ **სანიტართა საყურადღებოდ.** კარგი იქნებოდა, მიაქციონ ყურადღება, ვისიც ჯერ არს, ჩუღურეთის წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიასთან წყლის ნაპირებს, სადაც მენაგვე მუშებს მიაქვთ ნაგავი და წყალში ჩაყრის მაგიერ თითქმის ოთხ-ხუთ საჟენზედ გორებათ აკოკოლებენ. იმედია, სანიტართა კომისია მაინც მიაქცევს ყურადღებას, რადგან პოლიციას ჯერ ჯერობით, ეტყობა, შავი ჭირისა არ ეშინიან.

⁂ **დ. ზუგდიდი.** წარსულ თავზარ-დამცემ ზამთრისაგან შეშინებულნი შეგვიწყნარა წლევანდელმა წელმა. მადლობა ღმერთს, ჯერ-ჯერობით ჩვენში კარგი ამინდებია.

მაგრამ ამინდი რაღას გამოდგება იქ, სადაც ათასი სხვა-და-სხვა გაჭირვება ტრიალებს; ზუგდიდელები არა ვართ ბედ-იღბლიანი; არ იქნება, რომ თითო ნაკლი არ გვაწუხებდეს. სხვას ვერ მოვთვლი და უმთავრესს ჩვენს გაჭირებას მოგახსენებთ. ჩვენს დაბაში არის ერთად-ერთი აფთიაქი შატილოვისა, რომლის მოიჯარადრეთ სხვა კაცი გახლავსთ. ღმერთმა აკურთხოს, კარგი კაცია, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, როცა ავადმყოფის პატრონი რეცეპტით მივა აფთიაქში, მთელი დღე უნდა უცადოს პროვიზორს, რადგანაც თანაშემწე არა ჰყავს და თითონ „ბანქოობაშია გართული სადმე... წამალი იმიტომ არის კარგი, რომ დროზე მიეშველოს ავადმყოფს, თორემ თუ დაგვიანდა, მაშინ რაღათ უნდა ან წამალი, ან ექიმი, თუ ფეხებს გაფშეკავს. ვინ ამბობს, მეაფთიაქეც კაცია და იმასაც სხვებსავით ზოგადი ცოდო აცხია ყველა კაცისა და ვინდა გაუბედავს უსაყვედუროს, რომ დრო არ გაატაროს, მაგრამ თანაშემწე მაინც უნდა ჰყავდეს იმ დალოცვილს, როგორც რიგი მოითხოვს, რომ ავადმყოფნი უწამლოდ არ რჩებოდნენ.

⁂ **სტეფანწმინდა. გზის შეკვრა უხიდობის გამო.** აგერ ეს რვა წელიწადზედ მომეტებული არის, რაც მთავრობის მიერ ვეღირსენით თერგზედ „გორის ციხის" ხის ხიდის გაკეთებასა, რომელიც ეხლა ბაბილონის ნანგრევთა სურათს წარმოუდგენს. თერგის გაღმა მდებარე ხუთ ექვს სოფელთ უიხიდოდ ცხოვრება გაუჭირდებათ; ძნა, თივა, პური, შეშა და ყოველი საცხოვრებელი მასალა იმ ხიდიდგან უნდა მიიტანონ თავიანთ სახლობაში. ეხლა კი ეს ჩვენთვის უსაჭიროესი ხიდი მთლად ჩანგრევას და რომელიმე საცოდავი მოხევის დაღუპვას გვიქადის, აღარც გვერდის ხარიხაები აქვს და ფიცრების მაგიერ ჩანგრეულ ადგილებზედ ქვები-ღა აწყვია. აქამდის საპალნით დატვირთული ურემი უშიშრად მოგზაურობდა ამ ხიდზედ, ეხლა კი ქვევითი კაციც კანკალით ძლივს ჰბედავს გასვლასა და ურმები ხომ სულ გამოღმა უპატრონოდ ჰყრია.

კარგი იქნებოდა ყურადღება მიექციოდეს, ვისგანაც ჯერ არს ამ ჩვენთვის უსაჭიროეს საქმესა, რითაც გლეხ-კაცების გაჭირებათა გარდა მოსალოდნელ ხიფათსაც გადაგვარჩენდა; ეხლა უნდა ამაზე თავდარიგის მიცემა, თორემ მერე გვიანღა იქნება: „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმე-ღა თითზედ კბენანი"!...

⁂ **ძირულა. კეთილი საქმე კეთილის კაცისა.** ვინც გონების თვალით-გამჭრიახ, გამოცდილ და აუჩქარებელ ჭკუით აკვირდება ამ ჟამად ჩვენი გლეხების ჟამთა-ვითარების ტრიალს, ვისაც ჩაუხედია გლეხ-კაცის გულის სიღრმეში, ვისაც სმენია გლეხის მწუხარე გულის პასუხი, მისი ტანჯვა-ვაება და ათას ნაირი დღიური ვარამი, ის წარმოსთქვამს გლეხების ცხოვრების გაუმჯობესობაზედ რასმეს... ინტელიგენტს, რომლისთვისაც ბედს ურგუნებია ქალაქ გარეთ სადმე პროვინციაში, სოფლად სამსახური, ბევრი რამ სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია... სწორეთ ამ ნაირი კეთილი აზრებით გამსჭვალულ ინტელიგენტათ ჩაითვლება თავისი ნაყოფიერ მოქმედებით ძირულის სადგურის უფროსი ილია იოსების ძე ჭიჭინაძე. ამ უკანასკნელის მეცადინეობით უკვე დაარსდა ძირულის სადგურის გვერდით სასულიერო მთავრობის ნება დართვით ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელშიაც ამ ჟამად სამოცდაოთხი (64) შეგირდი, ორმოცდა ათი ვაჟი და თოთხმეტი ქალი სწავლობს.

დიდი ხანია ძირულის სადგურის მახლობელი სოფელ აჰარის გლეხები სულ უსკოლოდ იყვნენ; ამ გარემოებას სადგურის უფროსმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, შეაგროვა ცხრა თუმანი ფული, გლეხებიც დაითანხმა სკოლის დაარსების სარგებლობაზედ და მის საჭიროებაზედ... შეგროვილი ფული ცხრა თუმანი გადასცა გლეხებს იმ პირობით, რომ ამ ფულებით უსათუოდ სკოლის შენობა შეეძინათ. გლეხებმაც გაუგონეს ბატონ ჭიჭინაძეს ყოველივე რჩევა და დააარსეს სკოლა, რომელიც ამ ჟამად სწორედ იმ ადგილზედ არის აშენებული, სადაც ამ სოფლის გლეხების პატარა ბავშვები ცხვრებსა და ღორებს აძოვებდნენ.

⁂ **ს. ძირულა. ახალი ქარხანა.** ყველამ უწყის, რომ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში ყოველ ნაბიჯზე რაიმე მადნეული სიმდიდრე მოიპოვება. ამ რამდენისამე ხნის წინეთ ბ-ნმა ილია ჭიჭინაძემ აღმოაჩინა ერთი სიმდიდრე. იგი რა ხანია ადევნებდა თვალ-ყურს, სადაც ახლო მახლო სოფლებში ამოჩნდებოდა რაიმე მადნის მზგავსი რამე; ჯერ-ხანად ამ ჭიჭინაძემ აღმოაჩინა ს. შროშაში ერთ გვარი კაჟი (кварцъ), რომელიც მეტად სასარგებლო გამოდგა, მოიწვია ბათომში მცხოვრები მოქალაქე კაპიტალისტი ბ-ნი ლეფევრი, მოარიგა სოფლელებთან, იყიდა ძირულის სადგურის გვერდზე აღმოსავლეთით ცარიელი ადგილი, რაზედაც უნდა ააშენოს ქარხანა ახალი სისტემის მანქანებით, რომელშიაც ასობით დატრიალდება მუშა კაცი ყოველ დღე და დიდძალ ფულსაც დატოვებს სადგურის მახლობელ სოფლებში. სწორედ ქების და მადლობის ღირსია ბ-ნი ჭიჭინაძე ასეთის გულ-შემატკივრობისათვის გლეხ-კაცობის მიმართ და ხალხიც აფასებს მას სიყვარულით და პატივისცემით.

⁂ **როგორ უნდა გებრძოლოთ ჭირიანობას.?** ამას წინათ გაზეთ ,,კავკაზი"-ს № 34 იყო დაბეჭდილი ფრიად საყურადღებო წერილი ექიმის ჩ. რ. მოსტოვიჩისა, ჭირთან ბრძოლაზედ. გარდა საერთო ინტერესისა, ზევით მოხსენებულს წერილში არის მოყვანილი რამდენიმე ნაწყვეტი პროფ. იზბრანდ დიმერბოკის დღიურიდან, რომელშიაც იგი სწერდა ყოველივეს ჭირიანობის დროს „Nimeugne"-ში, 'გოლლანდიაში, მთელი ორი 1637 და 1638 წლების განმავლობაში.

ჩვენ გვსურს გავაცნოთ ქართველ მკითხველებს მოხსენებულ ფრიად საყურადღებო დღიურის ზოგიერთი ადგილები: „მე, ამბობს პროფ. დიმერბოკი, ერთობ ყველას ვურჩევდა დღისით სიფხიზლეს და შეძლებისა დაგვარად სულ მუდამ გარეთ წმინდა ჰაერზედ ყოფნას, მაგრამ ავადმყოფების სიმრავლის გამო, რომლებიც არ მაძლევდენ მოსვენებას არც დღე, არც ღამე, ჩემს თავს ვაძლევდი ნებას ერთი საათის ძილისას, სადილს უკან, და რაც შეიძლება ნაკლები ღვინის სმისას; როცა კი დაღალვა ძალიან დამძლევდა, მე შევიმაგრებდი, ხოლმე, ჩემს ღონეს ორი ან სამი ჭიქა კარგის ღვინით. რაც შეეხება საჭმელს, უმეტესათ ვხმარობდი ხორცეულს; რასაკვირველია, ამასთანავე ვაქცევდი ჩემს ყურადღებას, რომ ის ყოფილიყო სრულებით ახალი და საღი, და ვერიდებოდი იმას, რომელიც იყო მავნებელი სხვებისთვის, როგორც მაგალითად, ღორის ხორცს, თევზეულს და სხვა. ავადმყოფობის ხელის შემწყობი აგრეთვე აღმოჩნდა გამხდარი და მოქანცული საქონლის ხორცი და შინაური ფრინველისა. სასმელებში ვხმარობდი ადგილობრივ კარგათ დამდგარს ლუდს, ანუ სუბუქ თეთრ ღვინოს, იმდენს რამდენსაც შეეძლო ჩემი შეზარხოშება და არა დათრობა. საზოგადოდ ვცდილობდი, ტანი შემენახა სუფთათ და სტომაქი ჩვეულებისამებრ კარგათ.»

„დილის 4 ანუ 5 საათზედ, რამოდენსამე «ილის" (кардамонъ.) დაღეჭვის შემდეგ გამოვდიოდი ავადმყოფების დასახედავათ,—მაგრამ, მართლა უნდა ვსთქვა, საღამოს შვიდ საათზედ, ბინაზე დაბრუნების დროს სულით და ხორცით მოქანცული მინამ არ მოვწევდი ორ-სამს ჩიბუხს საგანგებოდ არჩეულს თამბაქოს, არ შემეძლო მივკარებოდი საჭმელს. ჩემს საუზმეს შეადგენდა: პური, კარაქი და მწვანე ყველი, რომელსაც დავაყოლებდი ხოლმე ერთს ჭიქა ლუდს; ცხრა საათის შესრულებისას მე, თითქმის მუდამ დღე, ვსვამდი ერთ ჭიქა თეთრ ღვინოს; ამზედ თუ დრო მქონდა, ვწევდი ჩიბუხს,—ნასადილევზედ ვწევდი ორს ან სამს და ამდენსვე ვახშმის შემდეგ.»

«ამისთანა წესით მე შევინახე ჩემი თავი ჭირისაგან ორი 1636 და 1637 წლის განმავლობაში მაშინ, როდესაც ,,Nimeugue"-ში აღარ დარჩა არც ერთი სახლი, რომელსაც არა სწვეოდა ჭირი. ჩემს გადარჩენას ერთ რიგად ვაწერდი თამბაქოს, რომელიც კარგათ შემოსული ფოთლის და უპირველესი ხარისხისა იყო. მე ყოველთვის ვუყურებდი ამ მცენარეს, როგორც საუკეთესო საშუალებას ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ და არამც თუ რომელიმე თეორიული მოსაზრების გამო, არამედ ბევრნაირი ცდით და გამოცდილებით, როგორ საკუთრივ ჩემს თავზედ—აგრეთვე სხვებზედაც. სამწუხაროთ ამ საშუალების გავრცელებას «Nimeugue"-ს მცხოვრებლები ხელს არ უწყობდენ, რადგან ამას სთვლიდენ წინააღმდეგათ წესის და სარწმუნოებისა".

,,ჭირის გათავების დროს, მე თითონ მივანებე თავი თამბაქოს, რადგან მეშინოდა სამუდამოდ არ შევჩვეოდი ჩიბუხის წევას და ეს უდიდესი საშუალება ჭირიანობის დროს, საბოლოვოდ სავნებლად არ გამხდომოდა."

,,მოხსენებულ ორის წლის განმავლობაში მე ვგრძნობდი ჩემს თავს რამდენჯერმე ჭირით გაავათმყოფებულს, იმ დროს როცა გამოვდიოდი ჭირიანების ბინიდან, თავბრუს ხვევით, გულის რევას ვგრძნობდი, სულის შეხუთვას და მაშინ სწრაფათ გავეშურებოდი ხოლმე შინისაკენ და წამოწოლილი მოვწევდი ზედი ზედ 6 ანუ 7 ჩიბუხს და თან ისე ვატყობდი ჩემ თავს ღონის წარმატებას, რომ მაშინვე შემეძლო ახლად ჩემი ავადმყოფებისკენ წასვლა და იმათი დათვალიერება."

„თამბაქოს ხმარება ჯარის კაცთა შორის, ძალიან ბევრს აცილებდა ხოლმე ავადმყოფობას, როგორც მე გავიგე იმათი უფროსებისაგან. გვარწმუნებენ კიდეც, რომ ლონდონში, იმ სახლებს, სადაც იყიდებოდა თამბაქო, ჭირი არ მიეკარებია; თუმცა „Nimeugue"-ში კი ასეთი ბედი ვერა ხვდა სუყველა თამბაქოს გამყიდავებს წილად, რადგან მე თითონ ვნახე რამოდენიმე იმათგანი ამ სენით ავათმყოფი. მართლა რომ იმ სახლში, რომელიც ეკუთვნოდა უპირველესს თამბაქოს ვაჭარს, ჩამომავლობით ინგლისელს, მის დაუხედავად, რომ გარს დიდი სახლობა ეხვია და უმრავლესი მუშა ხალხი, ავათმყოფობა სუყველას ასცდა, ერთი მოსამსახურე დედაკაცის გარდა, რომელიც მაინც კიდევ, ძალიან მალე მორჩა."

ღამე სიღნაღში. მთელი ქალაქი წყვდიადით არის მოცული. ფარანი კი არა, ცეცხლის ნაკვერჩხალი არსადა ბჟუტავს. თვალში რომ თითი გატაკონ, ვერაფერს დაინახავ. შორიდგან ხმა მოისმის:

— რა-ა-ა-ქდენ!

— ჰმ-მ-მ! რა ი-ი-ყო ო, აჯა-ა-ა-მო!

— ნა-ა-ა-ბადი ვი-ი-პოვნე,

— იპოვნე ყე და წამო-ი-ი-ღე, აჯა-ა-ამო!

— აბა, რო-ო-ოგორ წამოვიღო. ნაბადში კაცია გახვე-უ-უ-ული-ი!

— დაბერტყე-ე ე-ე და ისე წამოიღე, აჯა-ა-ა-მო!

რკინის გზის ამბები.

ბაქო. 11 თებერვალს მატარებელი № 44 დაეჯახა მანევრის ორთქლ-მავალს. დაიმტვრა 19 ნავთის ვაგონი. ლიანდაგი ძალიან გაფუჭდა და მიმოსვლა შეჩერებულია. გზის გაკეთება, როგორც ინჟინერი ამბობს, მოითხოვს არა ნაკლებ ოთხი დღისას. გზის გაკეთებამდე მატარებლები ბაქოში და ბაქოდგან შემოსავლელ ლიანდაგით ივლიან. ერთი კონდუქტორი დაშავდა.

ბათომი. მუშა, რაჭის მაზრის მცხოვრებ გაბრიელ არჩვაძეს, ვაგონიდგან რომ ცალები გამოჰქონდა, ერთი ცალი მაღლა იყო, გადმოვარდა, ფეხზე დაეცა და ძალიან დაუშავა. არჩვაძე ექიმთან წაიყვანეს.

კოვლიარი. ჟანდარმმა გაუჩხრიკა სახლი გზის რემონტის უფროს მუშას ყარამან ხაჩატუროვს და ლიანდაგიდგან მოპარული ხაჩატუროვისას აღმოჩნდა 48 ფიცარი, 5 კარები, 2 ძელი, 2 ბოჩკა ცემენტი და სხვა რკინეულება. ჟანდარმმა ოქმი შეუდგინა და თავის უფროს აცნობა.

ტრიხინა და მისი გაჩენა.

ტრიხინა (Trichinosis) პირუტყვთა სენია (ადამიანსაც გამოაჩნდება ხოლმე), ავადმყოფის სხეულში გაჩნდებიან ხოლმე პაწაწა მჭამელები, რომელთაც „ტრიხინას" (Trichina spiralis) უწოდებენ.

აქამდის ტრიხინა ეტყობოდათ ღორებს, (შინაურსა და გარეულს) ვირთაგვას, თაგვს, კატებს, ძაღლებს, მელასა და დათვს.

აი მოკლე ისტორია ტრიხინის გამოკვლევისა და შესწავლისა: ეგრედ წოდებული დიდ ძარღვის ტრიხინა 1832 წელში გამოიკვლია პირველად ჰილტონმა (Hilton) ლონდონში ასის წლის ადამიანის სხეულში, მაგრამ ჰილტონმა ვერ შეიძლო მისგან გამოკვლეულ მჭამელთა ბუნებისა და თვისებების შესწავლა. განვლო ამის შემდეგ ბევრმა წელიწადმა და ბოლოს ერთმა ბედ-იღბლიანმა შემთხვევამ ხელი მოუმართა მეცნიერებას და ტრიხინა დაწვრილებით, ყოველის მხრით გამოიკვლიეს და შეისწავლეს; აი როგორ მოხდა ეგა: 1860 წლის იანვარში დრეზდენის სამკურნალოში მოიყვანეს ავადმყოფი მოსამსახურე ქალი, რომელსაც სიკვდილის წინ რაღაც გაუგებარი ტკივილები აუტყდა ძარღვებისა. გამოჩენილმა ლანსკერმა ბეჯითად დაათვალიერა საცოდავ ქალის ძარღვები სიკვდილის შემდეგ და მისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ავადმყოფ ქალს ძარღვებში, თურმე, აუარებელი სიმრავლე ჰქონია ტრიხინასი. ბ. ანამნეზმა გამოიკვლია, რომ იმ სოფელში, საიდამაც ავადმყოფი ქალი მოიყვანეს, საშობაოდ დაუკლავთ ღორი და იმ ღორის ხორცით ბევრი ადამიანი გამხდარა ავად; გამოიკვლიეს იმ ღორის ხორცის პატარა ნაჭერი და ნახეს შიგ ბევრი ტრიხინა.

ბოლოს ბერვის მეცადინეობისა და ხანგრძლივის გამოკვლევის შემდეგ იცნეს, რომ ნაწლევებსა და ძარღვებში მდებარე ტრიხინათა შორის დიდი კავშირია და ამის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ტრიხინა დიდი მტერია კაცობრიობის სიმრთელისა.

რუსეთში ტრიხინა პირველად პროფესორმა რუდნევმა აღმოაჩინა 1 იანვარს, 1865 წელს—ერთის ქალის სხეულში, ხოლო პირუტყვებში (თაგვებში პროფესორმა ბროდოვსკიმ ქ. ვარშავაში).

ტრიხინა ორ-ნაირია: ნაწლევებისა და ძარღვებისა. ნაწლევების ტრიხინა ძაფის მზგავსია და სიგრძე აქვს დედალს 3—4 მილიმეტრი და მამალს—$1^1/_2$ მილიმ. (ვერშოკის მეათ. ნაწილია). მას აქვს საჭმელ-სასმელის მოსანელებელი მოწყობილობა სხეულში და საშინლად მრავლდებიან კიდეც. პირუტყვისა (და კაცის) ნაწლევებში ისინი სცოცხლობენ სამს კვირამდე და ამ დროს განმავლობაში თითოეული დედალი გამოჩეკს ხოლმე 10,000—20,000 ცოცხალ ტრიხინას და მერმე კვდება; ახლად გამოჩეკილი ტრიხინები (ემბრიონები) დიდ ხანს არ ცხოვრობენ ნაწლევებში; ისინი მალე გადმოესახლებიან ხოლმე მათ მფარველ (პირუტყვის ან კაცის) ძარღვებში. ისინი ძრიელ სწრაფები არიან და მუდამ იცვლიან ალაგს; სიგრძე აქვთ 0,12—0,18 მილიმეტრამდე; ეგ მავნე ბაცილები 9 კვირის ცხოვრების შემდეგ მთავარ-ძარღვებში იფარებიან მჭიდრო ბუდეში და შიგ 18 წლამდე სცოცხლობენ. ხშირად, ასეთი თავ-შენახული ტრიხინები სამს მისხალ ხორცში 200,000 თავი სცხოვრობს. თუ კაცმა ანუ პირუტყვმა გადაჰყლაპა ესეთი დაბუდებული ბაცილები, ისინი მაშინვე შორდებიან ხოლმე თავის ბუდეს და გასაოცარის სისწრაფით გარდიქცევიან იმ მთავარ ტრიხინებად, რომლებზედაც ზემოდ ვილაპარაკეთ.

ღორებს ტრიხინა უმეტეს ნაწილად თაგვებისაგან გადაედებათ ხოლმე, რომლებსაც მართებულად სთვლიან ამ სენის მუდმივ გამავრცელებლად, რადგან დედა-მიწაზედ არა ცხოველი არ ითვისებს ტრიხინას ისე ადვილად, როგორც თაგვი.

ღორი სჭამს ხოლმე სენიან თაგვების ლეშსა და აქედამ უჩნდებათ მათაც ტრიხინა; ამ რიგათვე კაციც ხშირად სჭამს ხოლმე ტრიხინიან ღორის ხორცს და თითონაც სნეულდება.

შარშან, ტფილისის საყასბოში მიუხედავად იმისა, რომ ბეითალი ისპანდიაროვი იყო დანიშნული, მაინც ტრიხინიანი ღორის ხორცი გაეპარა, რომლით ზოგნი ავად გახდნენ და საცოდავმა ისპანდიაროვმა სირცხვილით თავი მოიკლა.

სასარგებლო ცნობა

გველის ნაკბენის წამლობა. დიდი ხანია, რაც ექიმები და მეცნიერები სცდილობენ ისეთი რამ წამალი აღმოაჩინონ, რომ გველის შხამის წინააღმდეგი იყოს, მაგრამ აქამდე ჯერ ვერ მოუგონიათ ვერაფერი. საფრანგეთის ერთს მეცნიერს ფრიზალიკოს გამოუკვლევია ეხლა, რომ ასეთს წამლად ისევ თვით გველის შხამი გამოდგება. ექიმმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ გველის შხამი თვით გველზედ არა მოქმედობს და გარდა ამისა, თვით შხამში აღმოაჩინა შხამისავე წამალი. ეს წამალი ექიმმა სცადა ზღვის გოჭებზედ და აღმოჩნდა, რომ შხამის აცრის შემდეგ გველის ნაკბენი გოჭს ველარაფერს ავნებს. ექიმს ფრიზალიკს უნდა თავისი წამალი ეხლა სხვა პირუტყვებზედ სცადოს, და თუ აქაც უებარი გამოდგა, მაშინ გველის ნაკბენი ადამიანისთვის სრულებით საშიშო აღარ იქმნება.

წვრილი ამბები

32 შვილის დედა. ვენაში ამ ჟამად სცხოვრობს ერთი ქალი ანნა მარია ჭედმ. ქალი 40 წლისაა. 22 წელიწადია, რაც ცოლად გაჰყვა ერთს ღარიბს ხელოსანს და ამ ოც-და-ორის წლის განმავლობაში 32 შვილი ეყოლა, 26 ვაჟი და 6 ქალი. ხან ტყუპი ეყოლებოდა, ხან სამი შვილი ერთად და ერთხელ ოთხი ერთად ეყოლა. თითო შვილი არც ერთხელ არ დაჰბადებია. ყველა შვილებს თავის მუშუთი სდიდა, ქალის დედასაც ძლიერ ბევრი შვილები ჰყოლია თურმე.

ბავშვების შიში. ერთს მეცნიერს გამოუკვლევია, რომ ბავშვებს ყველაზედ ძლიერ ეშინიათ ქუხილისა, შემდეგ გველისა, სიბნელესი, ცეცხლისა, სიკვდილისა. ყველა ამის შიში ბავშვს თან და თან უძლიერდება, ვაჟს 15 წლამდე და ქალს 8 წლამდე.

უბედური ოჯახი. ორიოლის გუბერნიის სოფ. ნაილენკში ერთს ოჯახში დაბადებულა ბავშვი, რომელიც ამ ოჯახისავე ბავშვებისაგან სრულებით არაფრით განირჩეოდა. სამის თვის შემდეგ შეატყვეს, რომ ბავშვს თავი ძლიერ ეზდება და ტანი კი არა. ამ ჟამად ბავშვი სულ ერთის წლისაა და თავი-კი ისეთი დიდი აქვს, რომ ვერც ფეხზედა სდგას, ვერც ზის და ძლიერ იტანჯება. უბედური დედა ამ ბავშვის მწუხარებისაგან ავად გახდა და თითქმის გაგიჟდა. მერე წყალში ჩავარდა და თავი დაარჩო.

საოცარი ავაზაკობა. ეკატერინბურგის გუბერნიის სოფ. კამენკაში შემდეგი ამბავი მომხდარა. 1 იანვარს აქაურ მცხოვრებს ივანეს შენემანს მოუკვდა 5 წლის ბავშვი. ცოტა ხნის შემდეგ მამა მისულა ბავშვის საფლავზედ და უნახავს, რომ საფლავი ვილაცას უთხრია და მერე ისევ მიწა მიუყრია. იქვე ნახა მიტკლის ხაშერი, რომელიც კუბოს ჰქონდა ჩაკრული. ეს ამბავი პოლიციას შეატყობინა და მღვდელს. გათხარეს საფლავი და აღმოჩნდა, რომ ვიღაც ავაზაკებს ბავშვის გვამი გაუჭრიათ და გულ ღვიძლი წაუღიათ. დამნაშავენი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. ამბობენ, ეს მწვალებლების საქმე უნდა იყოს, რომლებიც მრავლად არიან ამ მაზრაში.

განცხადებანი

აბრეშუმის ჭიის თესლი

ბაღდადის ჯიშისა (ოსმალეთიდამ) თესლი დამზადებულია პასტერის სისტემაზედ.

კარგად მომზადებული ჭიის თესლი პასტერის სისტემით, როგორც მოეხსენებათ ნასწავლ მეაბრეშუმეთ, კარგის მომვლელის ხელში ერთი მისხალი იძლევა 30 გირვანქა ჭიის პარკს. ეს თესლი იყიდება პატარა ყუთებით, შვიდ-შვიდი მისხალი თითოში.

მსურველმა უნდა მიმართოს დ. ხონში სარდიონ ლუკას—შე ლომიძეს.

(8—8)

ორიგინალურ ნივთების მოყვარულთა და საუცხოვო გემოვნებაზე ჩერქეზულად ჩაცმა-დახურვის მსურველთა საყურადღებოდ.

პირველ თებერვლიდან გავხსენი საუკეთესო მაღაზია—სახელოსნო საქართველოს უებრო თვალ-საჩინო და ადგილობრივ ნივთებისა და ჩერქეზულ ტანთსამოსისა

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, სტეფანოვის სახლში № 16, სახელმწიფო თეატრის პირდაპირ, შემდეგის ფირმით:

„ძველა თვალია"

აზიური მაღაზია-სახელოსნო

მაღაზიაში იყიდება ყოველ-გვარი საჩოხე და საკაბე შალები და აბრეშუმები საქართველოს სხვა-და-სხვა მხარის ხელობისა

იქვე იშოვება მოყვარულთათვის მრავალი საინტერესო ნივთები: კათხები, გულები, თასები, აზარფეშები, ჭიჭილაკები, ლიტრები, ყანწები და სხვა ხელოვნურად მორთულ-მოკაზმულები ხავერდით, ბუზმენტით და ოქრო-ვერცხლის ვარაყებით.

იარაღთა საღარო: მრავალი სხვა-და-სხვა დროისა ახალი და ძველი იარაღები, ქამარ-ხანჯლები, ხმლები, მასრები, მათრახები და სხვა.

საუკეთესო სახელოსნო

ტანთ-ჩაცმულობათა და ფეხსაცმელთა მოსამზადებლად

იკერება: ჩოხები, ახალუხები, შარვლები, ქუდები, ყაბალახები, პაჭიჭები, წუღები, მესტები, ჩექმები და სხვა ფეხ საცმელი ვაჟთა და ქალთათვის.

საგანგებოდ მოწვეული მყავს ქუთაისიდამ და კავკავიდან მცოდნე ხელოსნები კასრულებ უებრო შეკვეთას: ოქრო მკედით და ქარგაზე ნაკერ ხელ-საქმეს.

!!!საქმეს ვასრულებ სუფთად, იაფად და სწრაფად!!!

დავშთები საზოგადოების ყურადღების მოლოდინში პატივისცემით

სოლომონ დავითის ძე ბერუჩაშვილი.

Единственный Кавказскій магазинъ

Оригинальныхъ Кавказско-восточно-азіятскіихъ вещей и предметовъ, (для украшенія кабинетовъ)

при магазинѣ образцовая мастерская

Кавказскихъ одеждъ и нарядовъ, а также азіятской обуви для женщинъ и мужчинъ.

Выборъ всевозможныхъ шалей и шелковъ

Кавказскаго издѣлія для дамъ и мужчинъ. Тамъ-же продажа *кавказскаго оружія* и всякихъ принадлежностей къ черкескѣ. *Скидка* на всѣ предметы торговли и заказа.

Адресъ. Тифлисъ, Головинскій, № 16, д. Степанова (противъ Казеннаго театра).

Съ почтеніемъ *С. Д. Беручевъ.*

(5 – 2)

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად სურს შესწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ ბრონერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Тортовыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРОННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе **2-хъ** часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. Аттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства.

(წ.)

Магазинъ
О. ЗИБЕРТА
Дворцовая.

равюры, фотографіи и платинотипы съ произведеній ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ фирмы Буссо, Валадонъ и К° въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ

СЕРЕБРЯННЫЯ ВЕЩИ фабрики **МЮЛЛЕРЪ въ РИГѢ**

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕЙ и т. под., МЕЛЬХІОРОВЫХЪ ВЕЩЕЙ, издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(50—19)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.